გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის თემა	ქვეყნები და დედაქალაქები
სწავლების საფეხური	საბაზო, VIII კლასი
მოსწავლეთა პროფილი	30, სსსმ-2
დრო	45 წუთი
წინასწარი ცოდნა	მოსწავლეებმა შეისწავლეს ქვეყნების სახელწოდებები, ეროვნებების აღმნიშვნელი სიტყვები, იციან ქალაქში მდებარე შენობებისა და ნაგებობების სახელწოდებები, შეუძლიათ ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული მასალის საფუძველზე მარტივი კონსტრუქციების აგება (სად, საიდან, საით, რა ეროვნების, რომელ ენაზე და ა. შ.)
გაკვეთილის მიზნები და შედეგები	მიზანი 1: მიღებული ცოდნის ორგანიზებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარება, თემატური ლექსიკური მასალის განმტკიცება, სახელმწიფო სიმბოლოების, კულტურის რეალიების ამოცნობა. შესაბამისობა ესგ-სთან: ს.II.26. მოსწავლეს შეუძლია მეტყველებისას გამოიყენოს ნასწავლი ენობრივ-გრამატი კული ფორმები. . იყენებს ადგილმდებარეობის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს; .იცავს სინტაქსურ მიმართებებს მარტივ ენობრივ სტრუქტურებში; .სათანადოდ იყენებს ნასწავლ ლექსიკას. ს.II.27. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიები. .კომუნიკაციის წარმართვისას იყენებს აუცილებელ რესურსებს (მაგ. მოდელებს, საკვანძო სიტყვებს, ფრაზებს, გამოთქმებს, კლიშეებს). ს.II.28.მოსწავლეს შეუძლია ინფორმაციის ამოცნობა კულტურის სფეროდან. .აკვირდება და ამოიცნობს ილუსტრაციებზე/ ტექსტებში/სასწავლო მასალებში ასახულ სახელმწიფო სიმბოლოებს, კულტურის ან საყოფაცხოვრებო რეალიებს. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: დაასახელებს ქვეყნების სახელწოდებებს,

	ეროვნებებს, ენებს, საუბრობს საკუთარ თავზე, სად ცხოვრობს, რომელ ენებზე შეუძლია ლაპარაკი, წერა, კითხვა., ამოიცნობს სახელმწიფო სიმბოლოებს, კულტურის რეალიებს. მიზანი 2: ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის, პრეზენტაციის უნარების განვითარება. შესაბამისობა ესგ-სთან: ს.II.33.მოსწავლეს შეუძლია რესურსების გამოყენება. .ეფექტურად იყენებს სახელმძღვანელოს რესურსებს; .მოიძიებს ინფორმაციას ისტ-ის მეშვეობით. ს.II.36.მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელებთან, მასწავლებელთან თანამშრომლობა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. .მოქმედებს გუნდის წევრებთან შეთანხმებულად; .ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან, მოიძიებს ინფორმაციას, მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში. სსსმ მოსწავლის მისაღწევი მიზანი: სსსმ მოსწავლეს შეუძლია წაიკითხოს ქვეყნების სახელწოდებები და დაუკავშიროს ქართულ შესატყვისს; აგრეთვე გადაწეროს მოცემული სიტყვები და მიუწეროს თარგმანი.
სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსები	სახელმძღვანელო, ფურცლები, მარკერები, მოსწავლეების მიერ დამზადებული თვალსაჩინოება (კედლის გაზეთები), კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდები, ბარათები, კროსვორდი, წარმოდგენილი ქვეყნების დროშები, კულტურული რეალიების ამსახველი მასალა.
გაკვეთილის მსვლელობა/საკლასო მენეჯმენტი	1.ფაზა A (გამოწვევა) -7 წთ. მისალმება, გაკვეთილის თემის გაცნობა. . მასწავლებელი ასახელებს ქვეყანას, მოსწავლეები ასახელებენ ეროვნებას, და რომელ ენაზე ლაპარაკობენ ამ ქვეყანაში. .მოსწავლეები საუბრობენ საკუთარ თავზე - სად ცხოვრობენ, რა ეროვნების არიან, რომელ ენებზე შეუძლიათ ლაპარაკი, წერა, კითხვა.

	2. ფაზა B(სიღრმისეული წვდომა) – 28 წთ. აქტივობა 1. მასწავლებელი ეკითხება თითოეულ ჯგუფს: საიდან ჩამოხვედით? მოყევით თქვენი ქვეყნის შესახებ. აქტივობა 2. ჯგუფის კაპიტნები აკეთებენ კედლის გაზეთების პრეზენტაციას– მოკლე ინფორმაცია ქვეყანაზე, რომელსაც წარმოადგენენ–უკრაინა, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, საქართველო, რუსეთი. აქტივობა 3. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სლაიდებს და აწვდის დამატებით ინფორმაციას მოცემული ქვეყნების დედაქალაქებზე. აქტივობა 4. ბარათებზე მუშაობა: მასწავლებელი დაურიგებს ჯგუფებს ბარათებს, სადაც მოცემულია მოკლე ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ბავშვებზე. მოსწავლეებმა ამ ინფორმაციის მიხედვით უნდა შეადგინონ ტექსტები და წარმოადგინონ. აქტივობა 5. კროსვორდის შევსება. ჯგუფების წარმომადგენლები რიგრიგობით გამოდიან, გამოიცნობენ სიტყვას და ჩაწერენ კროსვორდში. (თემა: ქალაქი. რა შეიძლება დავინახოთ ქალაქში–ქუჩა, მოედანი, შუქნიშანი, აფთიაქი, მუზეუმი, შადრევანი, ძეგლი, ეკლესია, ხიდი და ა. შ.) 3. ფაზა C (რეალიზება შეჯამება) – 10 წთ. მასწავლებელი ახდენს ჩატარებული აქტივობების შეჯამებას. მოსწავლეები მუშაობენ ცხრილებზე– მოძრაობისა და მიმართულების აღმნიშვნელი ზმნებისა და თანდებულების ჩასმა. მოსწავლეები ახდენენ გაკვეთილის შეფასებას. შეფასება: განმავითარებელი, განმსაზღვრელი. მოსწავლეები ფასდებიან გაკვეთილში ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის დროს გამოჩენილი აქტიურობის, პრეზენტაციის შეფასების სქემების მიხედვით.

პრეზენტაციის შეფასების სქემა

პასუხობს სათაურს	2 ქ.
იცავს აზრის თანამიმდევრობას	2 ქ.
იყენებს ნასწავლ ენობრივ-გრამატიკულ კონსტრუქციებს.	2 ქ.
იცავს დროის ლიმიტს	2 ქ.
მეტყველებს გამართულად/იცავს წარმოთქმასა და ინტონაციას.	2 ქ.

ჯგუფური მუშაობის შეფასების სქემა

მუშაობს დავალების ირგვლივ	2 ქ.
თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან	2 ქ.
იცავს დროს	2 ქ.
არის შემოქმედებითი	2 ქ.
არის ჩართული და აქტიური	2 ქ.

მასწავლებლის თვითშეფასება:

გაკვეთილი წარიმართა გეგმის მიხედვით. მოსწავლეებმა წარმოადგინეს წინასწარ მომზადებული ჯგუფური ნამუშევარი–კედლის გაზეთები, შემდეგ იმუშავეს ჯგუფებში, მუშაობდნენ შეთანხმებულად. მოსწავლეებმა დავალებას კარგად გაართვეს თავი.

მოსწავლეთა მუშაობას ვაკვირდებოდი. პრეზენტატორებმა საინტერესოდ წარმოადგინეს ნამუშევრები, უპასუხეს შეკითხვებს. პრეზენტატორები შეფასდნენ როგორც ჯგუფების, ასევე ჩემს მიერ.